



ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის
პოლიტიკა

თარიღი	მაისი 2019
თავი	0
გვერდი	1/15
ცვლილება	0

„დამტკიცებულია“


საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
მმართველი საბჭოს დადგენილებით
რექტორი, პროფესორი


დადგენილება № * 48103 *
2019



საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა

ძირითადი ასლი

	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/15
		ცვლილება	0

1. სარჩევი

1. სარჩევი.....	2
i. ცვლილებები.....	3
ii. ცვლილებების ისტორია.....	4
iii. მოქმედი გვერდების სია	5
2. დოკუმენტაციის კონტროლი.....	6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია.....	6
3. შესავალი.....	7
4. ძირითადი ნაწილი	7
მუხლი 1. მიზანი.....	7
მუხლი 2. ინფრასტრუქტურა.....	7
მუხლი 3. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.....	8
მუხლი 4. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ქსელის გეგმა	9
მუხლი 5. მართვა	11
მუხლი 6. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი	11
მუხლი 7. ერთიანი ქსელის ინფრასტრუქტურა და მართვის პოლიტიკა	11
მუხლი 8. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ქსელის მომხმარებლის პარამეტრების ნიმუში.....	13
მუხლი 9. უსაფრთხოების პოლიტიკა.....	13
უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევა	14
მუხლი 10. განვითარების მექანიზმები	15
ინფორმაციული სისტემების განვითარება.....	15
ვებ-გვერდის განახლება	15
თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში	15


	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/15
		ცვლილება	0

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი


	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/15
		ცვლილება	0

2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	შესავალი	გვერდი	7/15
		ცვლილება	0

3. შესავალი

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და ყველა სფეროში დამკვიდრების პირობებში, უნივერსიტეტის საკუთარი მისიის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მოიაზრებს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულს მუშაობასა და მის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვას, რაც აისახება უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

2. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს, ინფრასტრუქტურას და მის მუდმივ განვითარება/გაუმჯობესების მექანიზმებს. ორიენტირებულია სტუდენტებზე, აკადემიურ პერსონალზე, მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებზე, ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და ყველა პირზე, რომელსაც შეიძლება მიეცეს დაშვება უნივერსიტეტში არსებულ ინფორმაციულ რესურსებთან.

4. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. მიზანი


1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი აღნიშნულ პოლიტიკას იყენებს დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ ინსტრუმენტად, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემების გამართულ მუშაობას, მონაცემების ხელმისაწვდომობასა და კონფიდენციალურობას. პოლიტიკის ფუნქციონირება თავის მხრივ დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- 1.1. ხელმისაწვდომობა - უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა ხელმისაწვდომია
- 1.2. რელევანტურობა - ინფორმაციული ტექნოლოგიები პასუხობს უნივერსიტეტის მიზნებს და ექვემდებარება განახლება/განვითარებას არსებული მოთხოვნის შესაბამისად
- 1.3. დაცულობა - სისტემა მაქსიმალურადაა დაცული არავტორიზებული წვდომის და კიბერშეტევებისაგან.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა ვრცელდება სტუდენტებზე, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე რომელსაც შესაძლოა მიეცეს დაშვება უნივერსიტეტის ძირითად მონაცემებთან/ ინფორმაციასთან.

მუხლი 2. ინფრასტრუქტურა

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელი აერთიანებს 2 სასწავლო კორპუსს და წარმოადგენს ერთიან ინფორმაციულ სივრცეს რომელშიც ინტეგრირებულია სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და კომპიუტერული ტექნიკა. უნივერსიტეტში დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციას აძლევს საშუალებას ეფექტურად მოიძიონ და მართონ სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ხოლო უნივერსიტეტის დომეინზე მიბმული Google-ს პლატფორმის სერვისები ხელს უწყობს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ინსტრუქტორების, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალს შორის ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოებასა და მონაცემების საიმედოდ შენახვას.

	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/15
		ცვლილება	0

- ინფრასტრუქტურაში შემავალი კომპიუტერული ტექნიკა ერთის მხრივ უზრუნველყოს უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურების შეუფერხებელ მუშაობას, რაც თავის მხრივ სტუდენტთათვის სხვადასხვა სერვისების მიწოდების გარანტია. ხოლო კომპიუტერული ტექნიკა რომელთანაც სტუდენტებს აქვთ წვდომა უზრუნველყოფს სილაბუსებით გათვალისწინებული ცოდნის მიღებასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
- ერთიანი კომპიუტერული ქსელი აერთიანებს სამასამდე კვანძს და ზემოთხსენებულთან ერთად უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის საუნივერსიტეტო სერვისებზე წვდომას, როგორცაა: ვებგვერდი, ელექტრონული სწავლების სისტემა, ელექტრონული ტესტირების სისტემა, ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზა და სხვა.
- უნივერსიტეტს ოპტიკურბოჭკოვანი კაბელით ინტერნეტს აწოდებს კომპანი „სილქნეტი“, უნივერსიტეტს IP მისამართია 37.232.47.82 და ჩართულ ყველა ქსელურ წერტილს მიეწოდება მინიმუმ 10მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი.


მუხლი 3. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

- მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანისათვის/გამოყენებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალსა და პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს გადაეცემათ ადმინისტრირების მოდული, რომელშიც ხდება შიდა მომხმარებლების შექმნა, უფლებების განსაზღვრა და პაროლის შექმნა/შეცვლა.
- სისტემა დაცულია არავტორიზებული მომხმარებლისგან. მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანისა და ცვლილების უფლება დაშვებულია მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მომხმარებლისათვის. სტუდენტები და თანამშრომლები არიან ავტორიზებული მომხმარებლები და არ შეუძლიათ სხვისი პერსონალური მონაცემების დამუშავება.




თარიღი	მაისი 2019
თავი	4
გვერდი	9/15
ცვლილება	0


მუხლი 4. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ქსელის გეგმა





თარიღი	მაისი 2019
თავი	4
გვერდი	10/15
ცვლილება	0



	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	მირითადი ნაწილი	გვერდი	11/15
		ცვლილება	0

მუხლი 5. მართვა


1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში კომპიუტერული ქსელს მართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის I და II კორპუსებში კაბელური და უკაბელო ქსელური ინფრასტრუქტურის პროექტირებაზე, საინსტალაციო სამუშაოების მონიტორინგზე და მართვაზე, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერის, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და განახლების უზრუნველყოფაზე.

მუხლი 6. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის მოვალეობებია:
 - 1.1. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას;
 - 1.2. შეიმუშავებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და ახდენს მის წარმართვას;
 - 1.3. ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკისა და მოწყობილობების, კომპიუტერული პროგრამების და საჭირო ინვენტარის მოძიებას, უზრუნველყოფს მის გამართულ მუშაობას და ზრუნავს გაუმჯობესებაზე;
 - 1.4. ადმინისტრირებას უწევს უნივერსიტეტის ვებ-გვერდს;
 - 1.5. ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს ანგარიშს შესრულებული საქმიანობის შესახებ;
 - 1.6. იცავს უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებს და მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს;
 - 1.7. ასრულებს ადმინისტრაციის უფროსის სხვა დავალებებს.


მუხლი 7. ერთიანი ქსელის ინფრასტრუქტურა და მართვის პოლიტიკა

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა ქსელში ჩართული ყველა მოწყობილობა ექვემდებარება ერთიან უსაფრთხოების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ქსელში არასანქცირებული წვდომის შეზღუდვას, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, მომხმარებელთა კომპიუტერების დაინფიცირების თავიდან აცილებას არასასურველი ტრაფიკის გენერირების და სისტემაზე არასასურველი გავლენის თავიდან აცილებას.
2. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის I და II კორპუსები სრულიადაა დაფარული უსადენო ქსელით, რომელის გავლითაც ინტრანეტსა და ინტერნეტზე უზარველო წვდომას უზრუნველყოფს უსადენო წვდომის წერტილები (Wi-Fi Access Point), რომელთა მართვა და მონიტორინგი ხდება ცენტრალიზებულად, შესაბამისი კონტროლით. ინფორმაციის დაცულობის მიზნით უსადენო ქსელი დაყოფილია ორ ცალკეულ ქსელად, ერთი ადმინისტრაციისა და აკადემიურ პერსონალისათვის ხოლო მეორე სტუდენტთათვის.
3. ერთიანი უკაბელო კომპიუტერული ქსელი აღჭურვილია Cisco-ს კონტროლერებითა და უსადენო წვდომის წერტილებით და ფარავს უნივერსიტეტში შემავალი შენობების დერეფნებს, მოსაცდელ ადგილებს, ბიბლიოთეკას, ეზოებს, სასწავლო და ადმინისტრაციულ ოთახებს. ქსელში ჩართულია როგორც სტაციონარული მომხმარებლები: საფრენოსნო საწაფები, პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ქსელური მრავალფუნქციური პრინტერები, ასევე დინამიური


	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	12/15
		ცვლილება	0

მომხმარებლები: სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის და უნივერსიტეტის სტუმრების კუთვნილი ლეპტოპები, პლანშეტები და ტელეფონები

4. უნივერსიტეტი ქსელური კომუნიკაციებისათვის იყენებს TCP/IP სტანდარტს და დინამიკური ჰოსტის კონფიგურაციების პროტოკოლს (DHCP) IPv4 კონფიგურაციისათვის. კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე აგრეთვე შესაძლებელია სტატიკური ჰოსტის კონფიგურაციების პროტოკოლის გამოყენება.


	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
	მირითადი ნაწილი	თავი	4
გვერდი		13/15	
		ცვლილება	0

მუხლი 8. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ქსელის მომხმარებლის პარამეტრების ნიმუში



მუხლი 9. უსაფრთხოების პოლიტიკა


1. პოლიტიკის მიზანია სტუდენტებისა და თანამშრომლების პირადი ინფორმაციის დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის ქსელში ჩართული მომხმარებლები ექვემდებარებიან ერთიან უსაფრთხოების პოლიტიკას, რომლის მიზანია ქსელზე არასანქცირებული წვდომის შეზღუდვა, რესურსების ოპტიმალური გამოყენება, არასასურველი ტრაფიკის გენერირების და სისტემაზე არასასურველი გავლენის თავიდან აცილება.
2. პოლიტიკა ადგენს უსაფრთხოების წესებს და უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის თითოეულ მომხმარებელს ავალდებულებს მათ დაცვას. რასაც თავის მხრივ უზრუნველყოფს რისკების თავიდან აცილებას და ქსელში მუშაობას ხდის უფრო საიმედოს:
 - 2.1. დაუშვებელია ახალი მომხმარებლის საუნივერსიტეტო ქსელში თვითნებური ჩართვა;
 - 2.2. დაუშვებელია საუნივერსიტეტო ტექნიკაზე ნებისმიერი არასანქცირებული პროგრამული ან/და ტექნიკური სახის ცვლილებების(ების) გახორციელება;
 - 2.3. დაუშვებელია ადმინისტრაციული, ფინანსური და აკადემიური ინფორმაციის მოპოვება ან/და გავრცელება
 - 2.4. დაუშვებელია მომხმარებლის IP მისამართის თვითნებური ცვლილება;
 - 2.5. დაუშვებელია საუნივერსიტეტო უსადენო ქსელზე წვდომის მისაღები პაროლის გარეშე პირზე გადაცემა;
 - 2.6. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის, საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტისა და უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებლები გარკვეულწილად პასუხისმგებლები არიან საკუთარი ელექტრონული ანგარიშების (account) და აკადემიური ინფორმაციის დაცულობაზე, შესაბამისად აუცილებელი:
 - 2.6.1. ელექტრონული ანგარიშების ძლიერი და რთულად გამოსაცნობი პაროლით დაცვა;
 - 2.6.2. აკადემიური ინფორმაციის (საგამოცდო საკითხები, მათი პასუხები და ა.შ) დაცვა არასანქცირებული ხელყოფისაგან

	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	14/15
		ცვლილება	0

- 2.7. აუცილებელია იდენტიფიცირებული უსაფრთხოების ინციდენტების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება მათი წყაროების და ფორმების მიხედვით.
- 2.8. აუცილებელია ვირუსების ან/და კოდების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ანტივირუსული აპლიკაციების გამოყენება.
- 2.9. აუცილებელია ციფრული ჩანაწერების (ე.წ Logs) პერიოდული ანალიზი და სისტემის ტექნიკური თუ პროგრამული უსაფრთხოების ოპტიმიზირება და განახლება.
- 2.10. აუცილებელია მომხმარებელთა იდენტიფიცირება, შესაბამისი სერვისებთან წვდომის მიზნით უფლებების მინიჭება და მონიტორინგი ცენტრალური სერვერის მეშვეობით;

უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევა

1. უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული წესების დარღვევა გამოიწვევს დისციპლინარულ ქმედებას. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო არასანქცირებული საქმიანობა და გარკვეული სერვისების პარალიზება, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი უფლებას იტოვებს გათიშოს არასანქცირებული მოწყობილობა ქსელიდან ან/და ამოიღოს ეს მოწყობილობა ხმარებიდან.

	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	15/15
		ცვლილება	0

მუხლი 10. განვითარების მექანიზმები

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის განვითარება/გაუმჯობესების წყაროა უნივერსიტეტის ბიუჯეტი, და ხორციელდება 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ცალკეული საჭიროებების შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული სტრატეგიის შემუშავება ხორციელდება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. ამასთან, ნებისმიერი სახის ახალი სისტემის დანერგვამდე უნდა მოხდეს მისი ტესტირება, ნაკლოვანებების აღმოჩენა და აღმოფხვრა.
- 2019-2026 სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად უნივერსიტეტს დასახული აქვს შემდეგი ამოცანების შესრულება:

ინფორმაციული სისტემების განვითარება

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის უნივერსიტეტი უმნიშვნელოვანეს ამოცანად ისახავს საქმისწარმოების ელექტრონულ სიტემაზე გადასვლას და 2019-2021 სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიზნად ისახავს ოპტიმალური სისტემის შერჩევას, შესაბამისი გაიდლაინების მომზადებას, თანამშრომელთა შესაბამის ტრენინგსა და ელექტრონული სისტემის უნივერსიტეტში დანერგვას.
- სასწავლო პროცესის მართვის არსებული ელექტრონული სისტემის განახლება, იმ ხარვეზების აღმოფხვრისა და არაკომფორტული ინტერფეისის გაუმჯობესების გზით, რაც გამოვლენილი იყო არსებული სისტემის ბოლო წლების განმავლობაში ექსპლუატაციისას, ხელს შეუწყობს პროცესის უფრო ეფექტურად მართვასა და მონაცემების დამუშავების გამარტივებას. 2019-2021 სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიზნად ისახავს განახლებული სისტემის სასტესტო რეჟიმში ამუშავებასა და ეფექტურობის მონიტორინგის ჩატარებას 2020 წლის განმავლობაში.
- 2021 წლისთვის უნივერსიტეტი გეგმავს პერსონალის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნასა და დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სხვა სახის, საუნივერსიტეტო პროცესების ეფექტურ დაგეგმვასა და მართვას.

ვებ-გვერდის განახლება

- ორენოვანი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ვებგვერდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებსა, აბიტურიენტებს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათზე სწავლის წინაპირობების, საუნივერსიტეტო ცხოვრების, სიახლეებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში

კომპიუტერული სწავლების (CBT) დანერგვა უმაღლესი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში უზრუნველყოფს ევროპული ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოსა (EASA) და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებას (2020 წელი).